

განმარტებითი ბარათი
„სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი
თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და
სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ” საქართველოს
კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

ა) ზოგადი ინფორმაცია კანონპროექტის შესახებ:

ა.ა) კანონპროექტის მიღების მიზეზი:

კანონპროექტის მიღება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ცვლილებები უნდა განხორციელდეს საქართველოს კანონში „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” და „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ” საქართველოს კანონში უნდა აისახოს შესაბამისი სიახლეები.

ა.ბ) კანონპროექტის მიზანი:

კანონპროექტის მიღების მიზანია ის, რომ მოსარგებლეთათვის უმკვიდროდ ცნობილი საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემა განხორციელდეს „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

ა.გ) კანონპროექტის ძირითადი არსი:

კანონპროექტით განისაზღვრება, რომ მოსარგებლეთათვის უმკვიდროდ ცნობილი საცხოვრებელი სადგომის საკუთრებაში გადაცემა ხორციელდება „საცხოვრებელი სადგომით სარგებლობისას წარმოშობილი ურთიერთობების შესახებ” საქართველოს კანონის შესაბამისად.

ბ) კანონპროექტის ფინანსური დასაბუთება:

ბ.ა) კანონპროექტის მიღებასთან დაკავშირებით აუცილებელი ხარჯების დაფინანსების წყარო:

კანონპროექტის მიღება არ გამოიწვევს აუცილებელი ხარჯების გამოყოფას ბიუჯეტიდან.

ბ.ბ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე:

კანონპროექტით არ მოახდენს გავლენას ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილზე.

ბ.გ) კანონპროექტის გავლენა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე:

კანონპროექტის მიღება გავლენას არ იქონიებს ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილზე.

ბ.დ) სახელმწიფოს ახალი ფინანსური ვალდებულებები:

კანონპროექტის მიღება არ წარმოშობს სახელმწიფოს ახალ ფინანსურ

